

შპს „ფეი უნიქარდი“

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შპს „ფეი უნიქარდი“

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

1.	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
2.	სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
3.	ზოგადი ინფორმაცია	5
4.	ძირითადი საშუალებები.....	8
5.	არამატერიალური აქტივები.....	8
6.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	9
7.	ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
8.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9
9.	საგადასახადო ვალდებულებები.....	Error! Bookmark not defined.
10.	შემოსავალი.....	9
11.	სხვა ხარჯები	Error! Bookmark not defined.
12.	ბალანსის შემდგომი მოვლენები	10

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შპს „ფეი უნიქარდის“ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	2020	2019	2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	212,758	269,504	89,981
არამატერიალური აქტივები	584,089	407,097	11,000
სულ გრძელვადიანი აქტივები	796,846	676,601	100,981
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	64,864	3,474	1,635
გაცემული სესხები	128,967	97,233	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19,261	92,563	4,002
ფული და ფულის ეკვივალენტები	236,533	501,878	393,368
სულ მიმდინარე აქტივები	449,625	695,148	399,005
სულ აქტივები	1,246,472	1,371,750	499,986
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	1,936,152	1,227,230	395,145
დაგროვილი მოგება	(1,148,125)	(473,972)	(31,836)
სულ საკუთარი კაპიტალი	788,027	753,258	363,309
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები (მოგება)		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	31,036	1,632	1,532
სხვა ფინანსური ვალდებულებები	235,425	311,412	128,174
სხვა ვალდებულებები	191,984	305,448	6,971
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	458,445	618,491	136,678
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,246,472	1,371,750	499,986

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

2. სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2020	2019
შემოსავალი მოსაკრებლიდან და საკომისიოდან	56,878	31,199
ხარჯი მოსაკრებლად და საკომისიოდ	(23,488)	(27,314)
საერთო მოგება	33,390	3,885
სხვა შემოსავალი	70,737	184,500
სხვა ხარჯი	(472,137)	(365,682)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(284,625)	(311,848)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი)	(21,517)	47,009
მოგება დაბეგვრამდე	(674,152)	(442,156)
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
წმინდა მოგება/ზარალი	(674,152)	(442,156)
სხვა სრული შემოსავალი		
სულ სრული შემოსავალი	(674,152)	(442,156)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	2020	2019	2018
საკუთარი კაპიტალი	1,936,152	1,227,230	395,145
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(1,148,125)	(473,972)	(31836)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	788,027	753,258	363,309

ფულადი სახსრების მოძრაობა	2020	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(738,534)	(12,606)	116,185
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	203,999	613,737	102,506
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	677,188	734,853	376,611
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	236,533	501,878	393,368

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

3. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფეი უნიქარდი“ - არის საქართველოში რეგისტრირებული საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი. კომპანია დაფუძნდა 2016 წელს. დამფუძნებელი, 100% წილის მფლობელი არის სულხან პაპაშვილი.

მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71
ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71.

2017 წლის 3 თებერვალს ეროვნულმა ბანკმა შპს „ფეი უნიქარდი“ დაარეგისტრირა როგორც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (რეგისტრაციის ნომერი 0052-9004), რაც კომპანიას აძლევს უფლებას გამოუშვას ელექტრონული ფული, განახორციელოს ელექტრონულ ფულთან და ელექტრონულ გადახდებთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ოპერაციები.

2019 წლის თებერვალში შპს „ფეი უნიქარდი“ გახდა Visa International/Mastercard აფილირებული წევრი და როგორც პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია, მომხმარებელს სთავაზობს ელექტრონულ საფულეს - უნისაფულეს და არასაბანკო საგადახდო Visa/Mastercard ბარათებს.

უნისაფულე მომხმარებელს საშუალებას აძლევს გააერთიანოს საგადახდო და დაგროვების ბარათები ერთ სივრცეში, გადაიხადოს თანხა ნებისმიერ ობიექტში და ვებპლატფორმებზე, გადარიცხოს ან დააკონვერტიროს თანხა ან გადაიხადოს კომუნალური გადასახადები.

3.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2020 კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

3.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2017 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2017 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

3.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

3.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
საოფისე აღჭურვილობა	4-9 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

3.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 3-9 წლით.

3.6 გადასახადები

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე.

3.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში მიმდინარე და ნომინალური მფლობელობის ანგარიშებზე ლარში ეროვნული ბანკის კურსით.

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020, 2019 წლების 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ტექნიკა და სხვა
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	306,831
შემოსვლა	5,675
გასვლა	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	312,506
დაგროვილი ცვეთა	(99,748)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	269,504
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	212,758

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2020, 2019 წლების 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასაშვები ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
დასაშვები ღირებულება 31.12.2019	16,775	392,575	409,351
შემოსვლა	0	198,323	198,323
გასვლა			0
დასაშვები ღირებულება 31.12.2020	16,775	590,898	607,674
დაგროვილი ცვეთა			
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	(2,083)	(171)	(2,254)
ცვეთა			
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	(4,599)	(18,985)	(23,585)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	14,692	392,404	407,097

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	12,176	571,913	584,089
---	--------	---------	---------

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები	2,441	37,895
გადახდილი ავანსები	16,820	54,668
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19,261	92,563

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2020	2019
ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშზე და სალაროში	9,923	195,309
ფულადი სახსრები ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე	226,611	306,569
სულ ფული და ეკვივალენტები	236,533	501,878

8. სხვა ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	122,919	295,710
გადასახდელი ხელფასები	34,703	8,393
საგადასახადო ვალდებულება	2,318	1,345
მიღებული ავანსები	22,214	0
სხვა ვალდებულებები	9,830	0
სულ	191,984	305,448

9. შემოსავალი

	2020	2019
შემოსავალი მოსაკრებლიდან და საკომისიოდან	56,878	31,199
შემოსავალი სესხზე დარიცხული პროცენტიდან	6,487	8,943
სხვა შემოსავალი	64,250	175,557
სულ შემოსავალი	127,615	215,699

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2020	2019
პროექტის ხარჯი		(131,248)
საიჯარო ხარჯი	(25,666)	(11,969)
სხვა	(258,958)	(168,631)
სულ ხარჯები	(284,625)	(311,847)

11. სხვა ხარჯები

სარეკლამო ხარჯი		(2,616)
სხვა საპროცენტო ხარჯი	(390)	
დაქირავებულ პირთა გასამრჯელო	(387,994)	(324,950)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(83,753)	(38,116)
სულ ხარჯები	(472,137)	(365,682)

12. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.

დირექტორი

ნანა ქეზური

